

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ანგარიში

გაწეული მუშაობის შესახებ

2014 წლის 15 ივნისს, პირველად საქართველოს ისტორიაში ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, რომელსაც წინ უსწრებდა ახალი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიღება, რამაც საფუძველი დაუდო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ახალ ინსტიტუციურ მოწყობას. კოდექსით, თვითმმართველობის ორგანიზაციული აგების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი გახდა წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოების უფლებამოსილებების და ფუნქციების გამიჯვნა. იმისათვის რომ უფრო ცხადი გახდეს თუ როგორ შევძელით კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელება საანგარიშო პერიოდში, გთავაზობთ მოკლე ანალიზს.

კოდექსის თანახმად აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენს გამგებელი, რომლის პირდაპირი კენჭისყრით არჩევამ, პრინციპულად შეცვალა მანამდე არსებული ინსტიტუციური მოწყობის წესი. პირდაპირი კენჭისყრით არჩეული გამგებელი სარგებლობს იგივე ლეგიტიმაციით, როგორც წარმომადგენლობით ორგანოს - საკრებულოს წევრები. შესაბამისად, ამ ორი ინსტიტუციის თანაარსებობისა და გამართული ფუნქციონირებისათვისაა უცილებელ პირობად განისაზღვრა მათ შორის ფუნქციების მაქსიმალურად ზუსტი გამიჯვნა. მიუხედავად ამისა აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ თვითმმართველობა წარმოადგენს ერთ ხელისუფლებას. თვითმმართველობის დონეზე ხდება არა ხელისუფლების, არამედ ორგანოებს შორის ფუნქციების გადანაწილება. იმისათვის, რომ შენარჩუნდეს თვითმმართველობის - როგორც ერთიანი ორგანიზმის გამართული ფუნქციონირება, ჩამოყალიბდა საკრებულოს, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს და გამგებელს, იგივე აღმასრულებელ ორგანოს შორის ჯანსაღი, საქმიანი, ხალხზე ორიენტირებული ურთიერთობა. ზუსტად ინსტიტუციურმა ცვლილებამ განაპრობა ეს ჯანსაღი ურთიერთობა და არა სუბექტურმა შეხედულებებმა, რაც უდაოდ „ქართული ოცნების“ დამსახურებაა. ამის დასტურია ისიც, რომ არჩევნებამდე მომზადდა ყველა საჭირო საკანონმდებლო პაკეტი, იმისათვის რომ თვითმმართველობა წარმოადგენდეს მოქალაქეებთან ყველაზე ახლოს მდგომ ხელისუფლებას. აქვე შეგახსენებთ, რომ თვითმმართველობა სხვა არაფერია, თუ არა საზოგადოებრივი საქმეების მოწესრიგება თვით ამ საზოგადოების წევრების მიერ დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით. ამდენად თვითმმართველობა უპირველასად არის მოქალაქეთა თვითორგანიზაცია ერთობლივად გადაწყვიტონ საერთო ინტერესების მქონე საკითხები. ადგილობრივი თვითმმართველობა არის უპირველესი სუბიექტი, რომლის უფლება, შესაძლებლობა და პასუხისმგებლობა ადგილობრივი საკითხების მოწესრიგებაა. მოქალაქეთა მიერ თვითმმართველობის უფლების გამოყენება იწყება, მაგრამ არ მთავრდება ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობით და გრძელდება მათი ადგილობრივი საზოგადოების წინაშე არსებული პრობლემების გადაწყვეტაში ჩართულობით. სწორედ მოქალაქეთა მონაწილეობა თვითმმართველობის განხორციელებაში არის თვითმმართველობის განხორციელების გარანტი და შეფასების ერთერთი მთავარი კრიტერიუმი. რაც უფრო მეტი მოქალაქეა ჩართული თვითმმართველობის განხორციელებაში, მით უფრო მაღალია

თვითმართველობის განხორციელების ხარისხი. აქედან გამომდინარე მე ჩემს 42 კოლეგასთან ერთად, მიუხედავად პარტიული კუთვნილებისა, სისტემატიურად მქონდა შეხვედრები 28 თემის მცხოვრებლებთან. შეხვედრების ინტესივობა ზოგჯერ 2-3 ადმატებოდა ერთიდაიმავე თემში. ამ შეხვედრების მიზანი იყო მოსახლეობის ჩართულობა ჩვენს ერთობლივ საქმიანობაში. აქვე მადლობას გადავუხდი ჩემს კოლეგებს, რადგან არასოდეს დაგვიწყებიათ ის, რომ თვითმართველობა არაა მხოლოდ უფლება, არამედ პასუხსგებლობაცაა მიღებულ გადაწყვეტილებებსა და შესრულებულ სამუშაოებზე. მე აქ არ მოვიხმობ სტატისტიკურ მონაცემებს ჩვენს მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებზე. რომელიც უკვე გასაჯაროვდა. ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის, ისევე როგორც მთლიანი საკრებულოს ფუნქციაა, გააკეთოს სწორი არჩევანი გადაწყვეტილებების მიღებისას მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად. ერთი შეხედვით ეს თითქოს არცთუ ისე რთულია (მისცეს ან არ მისცეს ხმა შემოთავაზებულ პროექტს), მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, არცერთი ჩვენს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ ყოფილა ჩვენი მოსახლეობისთვის ზიანის მომტანი, მეტიც ყველა გადაწყვეტილებაზე კენჭისყრისას ვფიქრობდი შეგვეცვალა ამომჩევლის ცხოვრება უკეთესობისაკენ. მინდა შეგახსენოთ ჩემს მიერ ინიცირებული და ერთობლივად მიღებული გადაწყვეტილებები. სრულ ჩამონათვალს არ გავაკეთებ გამოვყოფ რამდენიმეს: 3 000 ლარით დასაჩუქრდება ის ნიჭიერი და ბეჯითი აბიტურიენტი, რომელიც ეროვნულ გამოცდებზე მიიღებს 100% გრანტს, ხოლო აღმზრდელი სკოლა 1000 ლარს. ასევე იმ ადამიანებს, რომლებსაც აქვთ სოციალური ქულა და ვერ იღებენ დაფინანსებას, გაეზარდათ ერთჯერადი დახმარება 100 - დან 150 ლარამდე. ასევე უარი ვთქვით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არებული ქონების პირდაპირი წესით გასხვისებაზე. (როგორც იჯარით გაცემის ასევე გაყიდვის დროს) ასეთ შემთხვევაში გამოვიყენებთ აუქციონის წესს. ასეთი მიდგომებით ცალსახად დავუჭირეთ მხარი ობიექტურობას, სამართლიანობას, საჯაროობას და ბიუჯეტის სასარგებლოდ თანხების მოზიდვას.

რაც შეეხება ბიუჯეტს, ჩვენ ყველამ ერთად დავამტკიცეთ ბიუჯეტი, რომელიც ყველა სხვა ბიუჯეტისგან განსხვავდება ერთი შეხედვით უმნიშვნელო, მაგრამ ამავდროულად განმსაზღვრელი ფაქტორით: მაქსიმალურად გაზრდილოყო მის შედგენაში საზოგადოების სხვადასხვა სექტორების წარმომადგენლების, ჩვენი კოლეგების, მოსახლეობის ჩართულობა. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ეს არის იდეალური ბიუჯეტი, მაგრამ თუკი გათვალისწინებით, რომ შედარებით სრულყოფილი საბიუჯეტო პროცესი 2 წლიანი ციკლია, დამეთანხმებით ალბათ 2 აგვისტოდან დღემდე ამ პროცესების მეტი უკეთესად დაგეგმვა და ფორმირება, არამარტო პრაქტიკულად, თეორიულადაც შეუძლებელი იყო.

აქვე განსაკუთრებულად გამოვხატავ მადლიერებას საკრებულოსთან არსებული ერთადერთი ორგანოს, საზოგადოებრივ დარბაზის მიმართ, რომლის თითქმის ყველა მოსაზრება და შენიშვნა, რეკომენდაცია გავითვალისწინეთ.

მინდა რომ საზოგადოებრივმა დარბაზმა, რომლის საქმიანობაც დებულების თანახმად წარმართება, შეასრულოს მთავარი ფუნქცია, რაც საზოგადოების ყველაზე აქტიურ ჯგუფებსა და საკრებულოს შორის მუდმივი, ეფექტური კავშირი უზრუნველყოფაში გამოიხატება.

თვითმართველობის ორგანოს ფორმირებიდან დღემდე, უმთავრეს პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ გადაწყვეტილების მიღება ეფუძნებოდა არა, ადგილობრივი მოსახლეობის, არამედ ზემდგომის მითითებებსა და ინტერესებს. ასეთ შემთხვევაში საკრებულოცა და გამგეობაც ზემდგომის დავალებათა შემსრულებლებს წარმოაგენდნენ. ეს იყო უმთავრესი პრობლემა, რომლის გადაწყვეტის გარეშე თვითმართველობა ყოველთვის დარჩება ფორმალური, მხოლოდ ქაღალდზე კანონში ჩაწერილი. მე ალბათ დამეთანხმება ჩემი კოლეგები, განსაკუთრებით „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები, ასევე გამგებელიც, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალური ორგანოებიდან, ასევე პარტიული ოფისიდან არასოდეს არ ყოფილა დირექტივა, ან რაიმე ფორმით ჩვენს საქმიანობაში ჩარევის მცდელობა, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევისა, რაც ჩვენს მიერ მიღებულ ნორმატიული აქტების სამართლებრივ ექსპეტიზას გულსხმობს. ამიტომ ჩვენთვის, როგორც პოლიტიკური თანამდებობის პირებისათვის, რომლის საქმიანობა ორიენტირებული უნდა იყოს მოსახლეობის ინტერესების გამოხატვაზე, არანაირი ხელშეშლა არ გვქონია. პირიქით მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინება დომინანტი ხდება არა მხოლოდ წარმომადგენლობითი ორგანოს-საკრებულოს, არამედ აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობაშიც, რითაც კიდევ უფრო რეალური გახდება მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, ზეგავლენა მოახდინოს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში.

ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის 36 მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით ასრულებს საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობას მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუსრულებლის შემთხვევაში, მაგრამ კანონის ეს ჩანაწერი ჩემთვის ნიშნავს, რომ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, როგორც თანამდებობის პირმა, ავიღო პასუხისმგებლობა საკრებულოს ბიუროს სხდომების ორგანიზებაზე, საკრებულოს კომისიების მუშაობის, საკრებულოს კომისიებისა და გამგეობის შესაბამისი სამსახურების ურთიერთობათობათა კოორდინაციაზე, საკრებულოს აპარატის საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობაზე, საკრებულოს კომისიებისა და აპარატის კოორდინირებულ მუშაობაზე, საკრებულოსა და მოსახლეობის ურთიერთკავშირის ხელშეწყობაზე. ზუსტად ამ პასუხისმგებლობების აღებამ შეგვადლებინა საკრებულოს საქმიანობის ძირითადი პრინციპების განხორციელება. როგორც მოგეხსენებათ ეს პრინციპებია:

- კანონიერების
- საჯაროობის
- ერთიანობის
- კოლექტიურობის
- წარმომადგენლობითი პროპორციულობის
- დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა საკითხების გადაწყვეტაში
- ანგარიშვალდებულობა
- პოლიტიკის განსაზღვრის და ა. შ.

და ბოლოს: თითოეულ ჩვენს ამომრჩეველს აქვს და მომავალშიც ექნება ერთი ლეგიტიმური კითხვა, რომელზეც პასუხი ჩვენი, როგორც საკრებულოს წევრების საქმიანობის შეფასების მთავარი კრიტერიუმია: რა შეიცვალა და რა შეიცვლება მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად მათ საკეთილდღეოდ. ცალსახად ვაცხადებ, რომ ჩვენი მთავრობა ორიენტირებულია ხალხზე, საზოგადოებაზე.. "ქართული ოცნება" არ გაურბის პასუხისმგებლობას და მომავალში ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ თითოეულ ადამიანს უკეთესი ცხოვრება ჰქონდეს. ჩვენ ვართ ხალხთან ყველაზე ახლოს მდგომი მთავრობა და არ გავურბივართ პრობლემებს. დარწმუნებული ვარ შედეგიც არ დააყოვნებს.